

## ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 12

### მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმებები

#### წყაროები

- „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები“<sup>1</sup>.
- ფასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება.“
- ფასს 7 – „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“.
- ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“.
- ფასს 15 – „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“.
- ფასს 16 – „იჯარა“.
- ბასს 8 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“.
- ბასს 16 – „ძირითადი საშუალებები“.
- ბასს 20 – „სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“.
- ბასს 23 – „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“.
- ბასს 32 – „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“.
- ბასს 36 – „აქტივების გაუფასურება“.
- ბასს 37 – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“.
- ბასს 38 – „არამატერიალური აქტივები“.
- იმკ-29 – „მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმება: განმარტებითი შენიშვნები“<sup>2</sup>

#### ამოსავალი ინფორმაცია

1. ბევრ ქვეყანაში საზოგადოებრივი მომსახურების ინფრასტრუქტურა, როგორცაა: გზები, ხიდები, გვირაბები, ციხეები, საავადმყოფოები, აეროპორტები, წყალმომარაგების სისტემები, ელექტროენერჯისა და ტელესაკომუნიკაციო ქსელები - როგორც ტრადიციულად სახელმწიფოს მიერ იყო აშენებული, სახელმწიფოს ხელშია, ის მართავს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.
2. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო იყენებს სახელშეკრულებო მომსახურების შეთანხმებებს, ამგვარი ინფრასტრუქტურის შექმნაში, დაფინანსებაში, მართვასა და ექსპლუატაციაში კერძო სექტორის მონაწილეობის მისაღებად. ინფრასტრუქტურა შეიძლება უკვე არსებობდეს ან იქმნებოდეს (შენდებოდეს) მომსახურებაზე დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში. წინამდებარე ინტერპრეტაციის მოქმედების სფეროში, როგორც წესი, ხვდება კერძო სექტორის საწარმო (ოპერატორი), რომელიც საზოგადოებრივი მომსახურებისათვის განკუთვნილ ინფრასტრუქტურას ქმნის ან აუმჯობესებს (მაგალითად, მისი სიმძლავრის გაზრდით) და ახორციელებს ამ ინფრასტრუქტურის მართვასა და ექსპლუატაციას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ოპერატორს გაწეული მომსახურებისათვის უხდებიან შეთანხმების ვადის მანძილზე. შეთანხმებას არეგულირებს ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს ეფექტიანობის სტანდარტებს, ფასების კორექტირების მექანიზმებს და ღონისძიებებს სადავო საკითხების საარბიტრაჟო წესით მოსაგვარებლად. ამგვარ შეთანხმებას ხშირად უწოდებენ „მშენებ-

<sup>1</sup> 2010 წლის სექტემბერში ბასსს-მა სტრუქტურული საფუძვლები ჩაანაცვლა „ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით“.

<sup>2</sup> იმკ-29 - „მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმებები - განმარტებითი შენიშვნები“ - ჩაანაცვლა ფასიკ 12-მა.

ლობა-ექსპლუატაცია-გადაცემა“, ან „რეკონსტრუქცია-ექსპლუატაცია-გადაცემა“ ან საზოგადოებრივ-კერძო“ ტიპის მომსახურებაზე კონცესიურ შეთანხმებას.

3. ზემოაღნიშნული შეთანხმებების დამახასიათებელი თავისებურებაა ოპერატორის მიერ საზოგადოებრივი მომსახურების ტიპის სახელმწიფო მოვალეობის განხორციელება. სახელმწიფო პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებას გაუწიოს ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მომსახურება, იმის მიუხედავად, ვინ ახორციელებს ამ მომსახურებას. მომსახურებაზე შეთანხმება ხელშეკრულების მეშვეობით ოპერატორს ავალდებულებს, საზოგადოებას გაუწიოს მომსახურება საჯარო სექტორის იურიდიული პირის სახელით. სხვა დამახასიათებელი ნიშნებია:
  - ა) მხარე, რომელიც იძლევა მომსახურებაზე შეთანხმებას (ნებართვის გამცემი) არის საჯარო სექტორის იურიდიული პირი, მათ შორის სამთავრობო ორგანო, ან კერძო სექტორის საწარმო, რომელზეც დელეგირებულია მომსახურების გაწევის პასუხისმგებლობა;
  - ბ) ოპერატორი პასუხისმგებელია სულ მცირე ინფრასტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების გარკვეული ასპექტების მენეჯმენტზე მაინც და არა მარტო იმაზე, რომ იმოქმედოს ნებართვის გამცემის სახელით;
  - გ) ხელშეკრულება განსაზღვრავს საწყის ფასებს, რომელიც ოპერატორმა უნდა ამოიღოს და არეგულირებს ფასების გადასინჯვასა და შესწორებას მომსახურებაზე შეთანხმების ვადის განმავლობაში;
  - დ) ოპერატორს ევალება, რომ ნებართვის გამცემს ინფრასტრუქტურა გადასცეს წინასწარ განსაზღვრული გარკვეული პირობით შეთანხმების ვადის ბოლოს, მცირე ან არაზრდადი ანაზღაურების სანაცვლოდ, იმის მიუხედავად, რომელმა მხარემ დააფინანსა ინფრასტრუქტურა თავდაპირველად.

### მოქმედების სფერო

4. წინამდებარე ინტერპრეტაცია მითითებებს იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღრიცხოს ოპერატორმა „საზოგადოებრივ-კერძო“ ტიპის მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმებები.
5. ეს ინტერპრეტაცია მაშინ გამოიყენება „საზოგადოებრივ-კერძო“ ტიპის მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმებისათვის, თუ:
  - ა) ნებართვის გამცემი აკონტროლებს ან არეგულირებს, რა სახის მომსახურება უნდა გასწიოს ოპერატორმა ინფრასტრუქტურის მეშვეობით, ვის უნდა გაუწიოს და რა ფასად; და
  - ბ) ნებართვის გამცემი მფლობელობის, ბენეფიციარული უფლებამოსილების ან სხვა გზით აკონტროლებს ინფრასტრუქტურაში შეთანხმებით გათვალისწინებული ვადის ბოლოს დარჩენილ მნიშვნელოვან წილს.
6. ინფრასტრუქტურა, რომელიც გამოიყენება „საზოგადოებრივ-კერძო“ ტიპის მომსახურებაზე კონცესიურ შეთანხმებებში მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში (აქტივების მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში), მოცემული ინტერპრეტაციის მოქმედების სფეროში თავსდება, თუ სრულდება 5 (ა) პუნქტში განსაზღვრული პირობები. მგ1-მგ8 პუნქტებში მოცემულია მითითებები, თუ როგორ უნდა დადგინდეს „საზოგადოებრივ-კერძო“ ტიპის მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმება ხვდება თუ არა წინამდებარე ინტერპრეტაციის მოქმედების სფეროში და რა ხარისხით.
7. ეს ინტერპრეტაცია გამოიყენება ორივე შემთხვევაში:
  - ა) ინფრასტრუქტურისათვის, რომელსაც ოპერატორი ქმნის (აშენებს) ან მესამე მხარისაგან იძენს მომსახურებაზე შეთანხმებისათვის; და
  - ბ) არსებული ინფრასტრუქტურისათვის, რომელსაც ნებართვის გამცემი ხელმისაწვდომს ხდის ოპერატორისათვის მომსახურებაზე შეთანხმების მიზნებისათვის.
8. ინტერპრეტაცია არ განსაზღვრავს, როგორ უნდა აღრიცხოს ის ინფრასტრუქტურა, რომელსაც ოპერატორი ფლობდა მომსახურებაზე შეთანხმების დადებამდე და აღიარებული იყო როგორც ძირითადი საშუალება. ამგვარი ინფრასტრუქტურის მიმართ გამოიყენება ფასის სტანდარტებით

გათვალისწინებული აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები (რომლებიც ჩამოყალიბებულია ბასს 16-ში).

9. ინტერპრეტაცია არ განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის წესებს ნებართვის გამცემისთვის.

### განსახილველი საკითხები

10. მოცემული ინტერპრეტაცია ადგენს მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმებით გათვალისწინებული მოვალეობებისა და შესაბამისი უფლებების აღიარებისა და შეფასების ზოგად პრინციპებს. მომსახურებაზე კონცესიურ შეთანხმებასთან დაკავშირებით განმარტებით შენიშვნებში გასაშუქებელი ინფორმაციისთვის მოთხოვნები მოცემულია იმკ-29-ში. წინამდებარე ინტერპრეტაცია ეხება შემდეგ საკითხებს:
- ა) ინფრასტრუქტურაზე ოპერატორის უფლებების აღრიცხვის წესს;
  - ბ) შეთანხმებით გათვალისწინებული ანაზღაურების აღიარებასა და შეფასებას;
  - გ) მომსახურების შექმნას ან გაუმჯობესებას;
  - დ) საექსპლუატაციო მომსახურებას;
  - ე) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს;
  - ვ) ფინანსური აქტივისა და არამატერიალური აქტივის შემდგომი აღრიცხვის წესს; და
  - ზ) ნებართვის გამცემის მიერ ოპერატორისათვის გადაცემულ ინფრასტრუქტურის ელემენტებს.

### კონსენსუსი

#### ინფრასტრუქტურაზე ოპერატორის უფლებების აღრიცხვის წესი

11. ინფრასტრუქტურა, რომელიც წინამდებარე ინტერპრეტაციის მოქმედების სფეროში ხვდება, არ უნდა აღიარდეს როგორც ოპერატორის ძირითადი საშუალება, ვინაიდან მომსახურების სახელშეკრულებო შეთანხმება არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი მომსახურების ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე კონტროლის უფლების გადაცემას ოპერატორზე. საზოგადოებრივი მომსახურების გასაწევად ოპერატორს შეუძლია ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია ნებართვის გამცემის სახელით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

#### შეთანხმებით გათვალისწინებული ანაზღაურების აღიარება და შეფასება

12. წინამდებარე ინტერპრეტაციის მოქმედების სფეროში მყოფი სახელშეკრულებო შეთანხმებების პირობების თანახმად, ოპერატორი მოქმედებს როგორც მომსახურების მომწოდებელი. ოპერატორი ქმნის ან აუმჯობესებს ინფრასტრუქტურას (სამშენებლო ან სარეკონსტრუქციო მომსახურება), რომელიც გამოიყენება საზოგადოებრივი მომსახურების გასაწევად, ამუშავებს და მიმდინარე ტექნიკურ და სარემონტო მომსახურებას უწევს ამ ინფრასტრუქტურას (საექსპლუატაციო მომსახურება) გარკვეული პერიოდის განმავლობაში.
13. ოპერატორმა შესრულებულ მომსახურებასთან დაკავშირებული ამონაგები უნდა აღიაროს და შეაფასოს ფასს 15-ის შესაბამისად. ანაზღაურების ხასიათი განსაზღვრავს მის შემდგომ სააღრიცხვო მიდგომას. მიღებული ანაზღაურების შემდგომი აღრიცხვის წესი ფინანსურ აქტივად და არამატერიალურ აქტივად დაწვრილებით ახსნილია ქვემოთ, 23-26 პუნქტებში.

#### სამშენებლო ან სარეკონსტრუქციო მომსახურება

14. ოპერატორმა მშენებლობა ან რეკონსტრუქცია უნდა აღრიცხოს ფასს 15-ის შესაბამისად.

#### ნებართვის გამცემის მიერ ოპერატორისთვის მიცემული ანაზღაურება

15. თუ ოპერატორი ამენებს ან რეკონსტრუქციას აწარმოებს, მან მიღებული ან მისაღები ანაზღაურება უნდა აღიაროს ფასს 15-ის შესაბამისად. ანაზღაურებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლებების წარმოშობა:
- ა) ფინანსურ აქტივზე; ან

ბ) არამატერიალურ აქტივზე.

16. ოპერატორმა ფინანსური აქტივი უნდა აღიაროს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ოპერატორს აქვს უპირობო სახელშეკრულებო უფლება, გაწეული სამშენებლო მომსახურებისათვის მიიღოს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივი ნებართვის გამცემისაგან ან მისი მითითებით; ნებართვის გამცემს მცირე თავისუფლება აქვს, თავისი შეხედულებისამებრ, თავი აარიდოს გადახდას, როგორც წესი, იმის გამო, რომ შეთანხმებას კანონის ძალა აქვს. ოპერატორს მაშინ აქვს ფულადი სახსრების მიღების უპირობო სახელშეკრულებო უფლება, თუ ნებართვის გამცემი ხელშეკრულებით იძლევა ოპერატორისთვის გადახდის გარანტიას (ა) წინასწარ განსაზღვრული ან განსაზღვრადი თანხის ან (ბ) დანაკლისის, რომელიც წარმოიშობა საზოგადოებრივი მომსახურების მომხმარებლებისაგან მიღებულ თანხასა და წინასწარგანსაზღვრულ ან განსაზღვრად თანხებს შორის განსხვავებით, მაშინაც კი, თუ გადახდა პირობითია იმ თვალსაზრისით, რომ ითვალისწინებს ოპერატორის მხრიდან გარკვეული პირობების შესრულებას ინფრასტრუქტურის ხარისხის ან მწარმოებლობის დონის მოთხოვნების შესახებ.
17. ოპერატორმა არამატერიალური აქტივი უნდა აღიაროს იმის გათვალისწინებით, რამდენადაც ის იღებს უფლებას (ლიცენზიას), ფასი დაუწესოს საზოგადოებრივი მომსახურების მომხმარებლებს. საზოგადოებრივი მომსახურების მომხმარებლებისათვის ფასის დაწესება არ არის ფულის მიღების უპირობო უფლება, რადგან ეს თანხები პირობითია იმ დონეზე, რა დონეზეც საზოგადოება იყენებს ამ მომსახურებას.
18. თუ ოპერატორს სამშენებლო მომსახურებისათვის ნაწილობრივ ფინანსური აქტივით უზდიან და ნაწილობრივ - არამატერიალური აქტივით, აუცილებელია ოპერატორის ანაზღაურების თითოეული კომპონენტის ცალ-ცალკე აღრიცხვა. მიღებული ან მისაღები ანაზღაურება ორივე კომპონენტის მიხედვით თავდაპირველად უნდა აღიარდეს ფასს 15-ის შესაბამისად.
19. ნებართვის გამცემის მიერ ოპერატორისათვის მიცემული ანაზღაურება უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების პირობებისა და, თუ არსებობს, შესაბამისი კანონის მიხედვით. ანაზღაურების ხასიათი განსაზღვრავს შემდგომი აღრიცხვის წესს, როგორც ეს აღწერილია 23-26-ე პუნქტებში. თუმცა, ფასს 15-ის შესაბამისად, ორივე სახის ანაზღაურება კლასიფიცირდება, როგორც სახელშეკრულებო აქტივი, მშენებლობის ან რეკონსტრუქციის პერიოდში.

**საექსპლუატაციო მომსახურება**

20. ოპერატორმა საექსპლუატაციო მომსახურება უნდა აღრიცხოს ფასს 15-ის შესაბამისად.

**სახელშეკრულებო მოვალეობები ინფრასტრუქტურის რესტავრაციის შესახებ  
საექსპლუატაციოდ ვარგის წინასწარ დადგენილ დონემდე**

21. ოპერატორს შეიძლება ჰქონდეს სახელშეკრულებო მოვალეობები, რომ მან უნდა შეასრულოს გარკვეული სალიცენზიო პირობა (ა) შეინარჩუნოს ინფრასტრუქტურა საექსპლუატაციოდ საიმედო წინასწარ განსაზღვრულ დონეზე, ან (ბ) აღადგინოს ინფრასტრუქტურა წინასწარ განსაზღვრულ გარკვეულ კონდიციამდე, სანამ ნებართვის გამცემს გადაეცემა მომსახურებაზე შეთანხმების ბოლოს. ზემოაღნიშნული სახელშეკრულებო მოვალეობები ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური მომსახურების ან რესტავრაციის შესახებ, მისი გაუმჯობესების ელემენტების გარდა (იხ. მე-14 პუნქტი), უნდა აღიარდეს და შეფასდეს ბასს 37-ის შესაბამისად, ე.ი. ეს მოვალეობები უნდა იყოს იმ დანახარჯების საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მიმდინარე მოვალეობის შესასრულებლად.

**ოპერატორის მიერ გაწეული ნასესხებ სახსრებთან  
დაკავშირებული დანახარჯები**

22. ბასს 23-ის თანახმად, ამ შეთანხმებაზე მისაკუთვნებელი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც დანახარჯი გაიწევა, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ოპერატორს აქვს არამატერიალური აქტივის მიღების (საზოგადოებრივი მომსახურების მომხმარებლებისათვის ფასების დაწესების უფლება) სახელშეკრულებო უფლება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შესაძლებელია შეთანხმებაზე მისაკუთვნებელი ნასესხებ სახსრებთან

დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია შეთანხმების სამშენებლო ეტაპის განმავლობაში, ბასს 23-ის ნებადართული ალტერნატიული მეთოდის შესაბამისად.

### ფინანსური აქტივი

23. ბასს 32, ფასს 7 და ფასს 9 გამოიყენება ისეთ ფინანსურ აქტივთან მიმართებით, რომელიც აღიარებულია მე-16 და მე-18 პუნქტების შესაბამისად.
24. თანხა, რომელიც მისაღებია ნებართვის გამცემისაგან ან მისი მითითებით, აღირიცხება ფასს 9-ის შესაბამისად, როგორც:
- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული;
  - რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით; ან
  - რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.
25. თუ ნებართვის გამცემისაგან მისაღები თანხა შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასს 9 მოითხოვს, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი პროცენტი აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

### არამატერიალური აქტივი

26. მე-17 და მე-18 პუნქტების მიხედვით აღიარებული არამატერიალური აქტივების მიმართ გამოიყენება ბასს 38. ბასს 38-ის 45-47-ე პუნქტებში მოცემულია მითითებები იმის შესახებ, როგორ უნდა შეფასდეს არამატერიალური აქტივები, რომლებიც შექმნილია არაფულად აქტივზე ან აქტივებზე, ან ერთობლივად ფულად და არაფულად აქტივებზე გაცვლის შედეგად.

### ნებართვის გამცემის მიერ ოპერატორზე გადაცემული ინფრასტრუქტურის ელემენტები

27. მე-11 პუნქტის თანახმად, ინფრასტრუქტურის ელემენტები, რომლის სარგებლობის უფლებაც ოპერატორს მიღებული აქვს ნებართვის გამცემისაგან მომსახურებაზე შეთანხმების მიზნებისათვის, არ აღიარდება ოპერატორის ძირითადი საშუალების სახით. ნებართვის გამცემმა ოპერატორს შეიძლება სხვა აქტივებიც გადასცეს, რომლებიც ოპერატორს შეუძლია თავისთან დაიტოვოს ანუ გამოიყენოს თავისი სურვილისამებრ. თუ ამგვარი აქტივები წარმოადგენს გაწეული მომსახურებისათვის ნებართვის გამცემის მიერ ოპერატორისათვის გადასახდელი ანაზღაურების ნაწილს, ისინი არ მიიჩნევა სახელმწიფო გრანტად ბასს 20-ის განმარტების თანახმად. ამის ნაცვლად, ისინი აისახება, როგორც გარიგების ფასის ნაწილი, როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ფასს 15-ში.

### ძალაში შესვლის თარიღი

28. საწარმომ წინამდებარე ინტერპრეტაცია უნდა გამოიყენოს წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2008 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ინტერპრეტაციას 2008 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისათვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

28ა-

28გ. [გაუქმებულია]

- 28დ. 2014 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 15-მა – „*ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*“ - გამოიწვია ცვლილებები „წყაროები“ ნაწილში, ასევე მე-13–15, მე-18–20 და 27-ე პუნქტებში. საწარმომ ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს ფასს 15-ის გამოყენებისას.

- 28ე. 2014 წლის ივლისში გამოცემულმა ფასს 9-მ გამოიწვია გამოიწვია 23-25-ე პუნქტების შეცვლა და 28ა-28გ პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 9-ს.

- 28ვ. 2016 წლის იანვარში გამოცემულმა ფასს 16-მა - „*ოჯარა*“ - გამოიწვია მგ8 პუნქტისა და „ბ“ დანართის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 16-ს.

## გარდამავალი დებულებები

---

29. 30-ე პუნქტის პირობით, სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა აღირიცხება ბასს 8-ის შესაბამისად, რეტროსპექტულად.
30. თუ მომსახურების რომელიმე კონკრეტული შეთანხმებისათვის შეუძლებელია, რომ ოპერატორმა ეს ინტერპრეტაცია რეტროსპექტულად გამოიყენოს ყველაზე ადრინდელი წარდგენილი პერიოდისთვის, მაშინ მან:
- ა) უნდა აღიაროს ფინანსური აქტივები და არამატერიალური აქტივები, რომლებიც არსებობდა ყველაზე ადრე წარდგენილი პერიოდის დასაწყისში;
  - ბ) ამ ფინანსური და არამატერიალური აქტივებისათვის (მიუხედავად ადრინდელი კლასიფიკაციისა) ადრინდელი საბალანსო ღირებულებები ისე უნდა გამოიყენოს, როგორც მოცემული თარიღისათვის არსებული საბალანსო ღირებულებები; და
  - გ) უნდა შეამოწმოს აღიარებული ფინანსური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება ამ თარიღისათვის, თუ შესაძლებელია, ხოლო თუ შეუძლებელია ამის გაკეთება, მაშინ ამ თანხების გაუფასურება უნდა შემოწმდეს მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში.

## დანართი ა მითითებები გამოყენებაზე

*წინამდებარე დანართი დაერთვის, მაგრამ არ არის ინტერპრეტაციის ნაწილი.*

### მოქმედების სფერო (მე-5 პუნქტი)

- მგ1. მოცემული ინტერპრეტაციის მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ ინფრასტრუქტურა მაშინ ხვდება მოცემული ინტერპრეტაციის მოქმედების სფეროში, როდესაც შემდეგი პირობები არსებობს:
- ნებართვის გამცემი აკონტროლებს ან არეგულირებს, რა სახის მომსახურება უნდა გასწიოს ოპერატორმა ინფრასტრუქტურით, ვის უნდა გაუწიოს და რა ფასად; და
  - ნებართვის გამცემი მფლობელობის, ბენეფიციარული უფლებამოსილების ან სხვა გზით აკონტროლებს ინფრასტრუქტურაში დარჩენილ რაიმე წილს შეთანხმებით გათვალისწინებული ვადის ბოლოს.
- მგ2. (ა) პუნქტში ხსენებული კონტროლის ან რეგულირების განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების მეშვეობით ან რაიმე სხვა გზით (მაგალითად, მარეგულირებელი ორგანოს მეშვეობით) და ითვალისწინებს ისეთ გარემოებებს, როდესაც ნებართვის გამცემი ყიდულობს მთელ პროდუქციას, ასევე ისეთსაც, როდესაც მთელ ან გარკვეული რაოდენობის პროდუქციას სხვა მომხმარებლები ყიდულობენ. ამ პირობის გამოყენებისას, ნებართვის გამცემი და ნებისმიერი მასთან დაკავშირებული მხარე ერთად უნდა იყოს განხილული. თუ ნებართვის გამცემი საჯარო სექტორის იურიდიული პირია, მაშინ ამ ინტერპრეტაციის მიზნებისათვის, საჯარო სექტორი მთლიანად, ნებისმიერ მარეგულირებელ ორგანოსთან ერთად, რომელიც მოქმედებს საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ, განხილულ უნდა იქნეს ნებართვის გამცემთან დაკავშირებულ მხარედ.
- მგ3. (ა) პირობის მიზნებისათვის, ნებართვის გამცემს არ სჭირდება, რომ ჰქონდეს სრული კონტროლი ფასზე: საკმარისია, ნებართვის გამცემი, ხელშეკრულება ან მარეგულირებელი ორგანო არეგულირებდეს ფასს, მაგალითად, ფასის ზღვრის განსაზღვრის მექანიზმით. ამასთან, ეს პირობა უნდა გამოიყენებოდეს შეთანხმების შინაარსის მიმართ. არაარსებითი ხასიათის პარამეტრები, როგორცაა, ქეფი (ზედა ზღვარი), რომელიც მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში გამოიყენება, უგულვებელყოფილ უნდა იქნეს. პირიქით, თუ, მაგალითად, ხელშეკრულება ოპერატორს თავისუფლებას აძლევს ფასების განსაზღვრაში, მაგრამ მოგების ნებისმიერი ნამეტი თანხა ნებართვის გამცემს უბრუნდება, ოპერატორის შემოსავალი „შემოსაზღვრულია“ და კონტროლის არსებობის შესამოწმებელი ფასის ელემენტი არსებობს.
- მგ4. (ბ) პირობის მიზნებისათვის, ნებართვის გამცემის კონტროლმა, რომელიც იარსებებს ინფრასტრუქტურის ნებისმიერ მნიშვნელოვან დარჩენილ წილზე, უნდა შეზღუდოს ოპერატორის პრაქტიკული შესაძლებლობა, ინფრასტრუქტურის გაყიდვის ან დაგირავების და ნებართვის გამცემს უნდა მისცეს მუდმივი უფლება მის გამოყენებაზე, შეთანხმების ვადის განმავლობაში. ინფრასტრუქტურაში დარჩენილი წილი არის ინფრასტრუქტურის მიმდინარე შეფასებული ღირებულება, იმის გათვალისწინებით, თითქოს ის უკვე იმ ასაკისაა და ისეთ მდგომარეობაშია, რომელიც ივარაუდებოდა შეთანხმების ვადის ბოლოს.
- მგ5. კონტროლი უნდა გაიმიჯნოს მენეჯმენტისგან. თუ ნებართვის გამცემი ინარჩუნებს მე-5 (ა) პუნქტში აღწერილ კონტროლის დონეს და მნიშვნელოვან დარჩენილ წილს ინფრასტრუქტურაში, ოპერატორი ინფრასტრუქტურას მხოლოდ ნებართვის გამცემის სახელით მართავს, ხშირ შემთხვევაში მაშინაც კი, თუნდაც მას მართვის საკითხებში ფართო თავისუფალი მოქმედების უფლება ჰქონდეს მიცემული.
- მგ6. (ა) და (ბ) პირობები ერთად განსაზღვრავს, როდის აკონტროლებს ნებართვის გამცემი ინფრასტრუქტურას, მათ შორის, მის საჭირო განახლებას (იხ. 21-ე პუნქტი), ინფრასტრუქტურის ეკონომიკური მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში. მაგალითად, თუ ოპერატორმა ინფრასტრუქტურის რომელიმე ელემენტის რაღაც ნაწილი განაახლა შეთანხმების ვადის განმავლობაში (მაგ., გზის ზედა საფარი ან შენობის სახურავი), მაშინ ინფრასტრუქტურის ეს

ელემენტი მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული. ამდენად, (ბ) პირობა დაკმაყოფილებული იქნება მთელი ინფრასტრუქტურისათვის, მათ შორის, იმ ნაწილისთვისაც, რომელიც ოპერატორმა გაარემონტა, თუ ნებართვის გამცემი აკონტროლებს ამ ნაწილის საბოლოო განახლებაში მნიშვნელოვან ნარჩენ წილს.

მგ7. ზოგჯერ ინფრასტრუქტურის გამოყენება ნაწილობრივ რეგულირდება მე-5 (ა) პუნქტში აღწერილი გზით და ნაწილობრივ არ რეგულირდება. ამასთან, აღნიშნული შეთანხმებები შეიძლება მრავალი ფორმით არსებობდეს:

ა) ნებისმიერი ინფრასტრუქტურა, რომელიც ფიზიკურად განცალკევებულია და შესაძლებელია მისი დამოუკიდებლად მართვა და ამავე დროს აკმაყოფილებს ბასს 36-ის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის განმარტებას, ცალკე უნდა იქნეს განხილული, თუ ის მთლიანად არარეგულირებადი მიზნებისათვის გამოიყენება. მაგალითად, ეს შეიძლება ეხებოდეს საავადმყოფოს კერძო ნაწილს, როდესაც საავადმყოფოს დარჩენილ ნაწილს ნებართვის გამცემი იყენებს არაკერძო პაციენტების მომსახურებისათვის.

ბ) როდესაც წმინდა დამხმარე საქმიანობები (მაგალითად, საავადმყოფოს მაღაზია) არარეგულირებადია, მაშინ კონტროლის არსებობა ისე უნდა შემოწმდეს, თითქოს ეს მომსახურებები საერთოდ არ არსებობს, ვინაიდან თუ ნებართვის გამცემი მომსახურებას მე-5 პუნქტში აღწერილი გზების მსგავსად აკონტროლებს, დამხმარე საქმიანობების არსებობა ხელს არ უშლის ნებართვის გამცემს ინფრასტრუქტურაზე კონტროლის განხორციელებაში.

მგ8. ოპერატორს შეიძლება უფლება ჰქონდეს, გამოიყენოს მგ7(ა) პუნქტში აღწერილი განცალკევებადი ინფრასტრუქტურა ან მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება მგ7(ბ) პუნქტში აღწერილი დამხმარე არარეგულირებადი მომსახურების გასაწევად. ნებისმიერ შემთხვევაში, შინაარსით ეს შეიძლება იყოს ნებართვის გამცემისგან ოპერატორზე გადაცემული იჯარა; თუ ასეა, იგი უნდა აღირიცხოს **ფასს 16-ის** შესაბამისად.